ქართული ოცნება
GEORGIAN DREAM
ქართული ოცნება
ერთად საქართველოს წარმატებისთვის!
41
ფასიანი პოლიტიკური რეკლამა

ალიონი

უძველესი გაზეთი უახლესი ინფორმაციებით!

გაზეთი გამოდის 1931 წლის 5 იანვრიდან

საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი.
ყოველკვირეული გამოშვება. № 30 (10364) 19 ოქტომბერი 2020 წ. ფასი 60 თეთრი.

რატომ განადგურდა ჭადრის ხეები, ანუ რას აპროტესტებს არასამთავრობო სექტორი

ალიონი. ოზურგეთის სახელმწიფო თეატრის მიმდებარე პარკში მუნიციპალური ფონდის დაფინანსებით პარკის სარეაბილიტაციო სამუშაოები მიმდინარეობს. არასამთავრო ორგანიზაციების წარმომადგენლები აქ ჭადრის ხეების გადაბელვას აპროტესტებენ.

ირმა გორფელაძე, სათემო ორგანიზაცია „ეკოს“ თავმჯდომარე: –თეატრის მიმდებარე პარკში ასწლოვანი კედრები გურიელების დროიდან იაკობ მარის დარგულია.

ჩვენ ძალიან გვიხარია, რომ მშვენდება ჩვენი ქალაქი და თეარის მიმდებარე პარკშიც მიმდინარეობს სარეაბილიტაციო სამუშაოები.

ეს თემა არასამთავრობო სექტორიდან იყო ინიცირებული ჩვენს მაჟორიტარ დეპუტატ არჩილ თალაკვაძესთან და სწორედ მისი დამსახურებაა, ამ პარკში მუნიციპალური განვითარების ფონდის დაფინანსებით სამუშაოები რომ დაიწყო. პროექტში არ იყო არცერთი ხის გადამორვა ან მოჭრა, თუმცა განადგურდა ჭადრის ორი ხე, რადგან პროექტის მიხედვით, ამ ორ ხეს შორის უნდა მოეწყოს სპორტული მოედნის გასახდელი.

რატომ არ დადგეს მშენებლებმა პარკის წინ შესაბამისი ბანერი, თუ რის გაკეთებას გეგმავდნენ, ან მოსახლეობა რატომ არ იყო ამ პროექტის გარშემო ინფორმირებული?

არასამთავრობო სექტორმა ხეების დაზიანების გამო პროტესტი გამოთქვა.თუმცა გვეუბნებიან, რომ ხეები სამკურნალოა და ამის გამო გადაბელეს.

ჩვენ მივესალმებით მშენებლობებს, მაგრამ იგი ბუნების ხელყოფის ხარჯზე არ უნდა ხდებოდეს, მაგალითი გვაქვს. ახლახან, ქ. ოზურგეთში, უნივერსიტეტის ქუჩის დასაწყისში შპს „მამლუქმა“ 9 ძირი საღი კედარი მოჭრა.“–გვითხრა ირმა გორდელაძემ.

„მმართველი გუნდი ყველა დაწყებულ საქმეს ბოლომდე მიიყვანს“

გასულ პარასკევს „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველომ“ ოზურგეთის, ლანჩხუთისა და ჩოხატაურის მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატი ვასილ ჩიგოგიძე წარადგინა

ალიონი. *გასულ პარასკევს „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველომ“ ოზურგეთის, ლანჩხუთისა და ჩოხატაურის მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატი ვასილ ჩიგოგიძე წარადგინა.*

წარდგენას „ქართული ოცნების“ გენერალური მდივანი კახა კალაძე, პრემიერ-მინისტრი გიორგი გახარია, პარლამენტის თავმჯდომარე არჩილ თალაკვაძე და პარტიის სხვა ლიდერები ესწრებოდნენ.

ოზურგეთში წარდგენა სოფელ დვაბზუში, შალვა რადიანის სახელობის მუზეუმის ეზოში გაიმართა.

შეხვედრა პარტია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს“გენერალურმა მდივანმა ***კახა კალაძემ*** *გახსნა.*

–ამ მხარეში თავისუფლების მოყვარე ხალხი ცხოვრობს. სწორედ ამ კუთხის შვილები იყვნენ ჩვენი საამაყო წინაპრები, პირველი დამოუკიდებელი რესპუბლიკის მამები, რომლებმაც მიიღეს იმ დროისათვის ყველაზე პროგრესული და მოწინავე კონსტიტუცია.ამ მხარეში ყველაზე მეტადაა გამოხატული ადამიანის ინდივიდუალიზმი, რომელიც ქმნის გურულს, ყველაზე განსხვავებული ადამიანის ინდივიდს“ –აღნიშნა თავის გამოსვლაში კახა კალაძემ და 2012 წლიდან „ქართული ოცნების“ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ განხორციელებულ პროექტებზე და ბიძინა ივანიშვილის დამსახურების შესახებ ისაუბრა.

საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ***გიორგი გახარიამ*** *თავის გამოსვლაში სხვა საკითხებთან ერთად გლობალურ გამოწვევების ფონზე არსებულ მდგომარეობაზე ისაუბრა:*

–სამწუხაროდ, ეს შეხვედრები გლობალური გამოწვევის ფონზე მიმდინარეობს, თუმცა ჩვენ ეს ორი კვირა ღირსეულად უნდა გავიაროთ და ღირსეულად უნდა გავიმარჯვოთ. უნდა გავუმკლავდეთ გამოწვევას, როგ-ორც ეს გავაკეთეთ პანდემიის პირველი ტალღის დროს, და-ვიცავით მოსახლეობის ჯანმრ-თელობა, ქვეყნის ეკონომიკა. ახლა დავდექით მეორე ტალღის წინაშე. უნდა გვესმოდეს, რომ ერთიანობა და პასუხისმგებლობაა საჭირო, რომ მეორე ტალღაც დავამარცხოთ ისე, რომ დავიცვათ ჩვენი ქვეყნის ეკონომიკა, დავიცვათ თითოეული სამუშაო ადგილი., იმისათვის, რომ ჩვენი ქვეყნის მოქალაქეების ცხოვრება ყოველწლიურად იყოს უფრო უსაფრთხო და ღირსეული. მაგალითად, მომდევნო 4 წელიწადში ინფრასტრუქტურული პროექტების განსახორციელებლად დაიხარჯება 20 მილიარდი ლარი, რაც მოხმარდება გზების, სასმელი წყლის სისტემების, საირიგაციო ნაგებობების მშენებლობას, სკოლების, საბავშვო ბაღების აღდგენას–აღნიშნა პრემიერ მინისტრმა.

შემდეგ იქ მყოფთ საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე ***არჩილ თალაკვაძემ*** *მიმართა:*

–მეამაყება, რომ 4 წლის განმავლობაში ამ მხარის წარმომადგენელი ვიყავი პარლამენტში. ჩვენი მხარე სავსეა ოპტიმიზმით, გვეამაყება ხალხის მხარდაჭერის.

მსურს, განსაკუთრებული მადლობა გადავუხადო ბატონ ბიძინა ივანიშვილს და მის ოჯახს, რომელმაც გურიაში, განსაკუთრებით, შავი ზღვის სანაპირო ზოლზე, შექმნა სრულიად ახალი ეკონომიკა. ეს არის გურია უკვე ახალი, სრულიად განსხვავებული სახით მსოფლიო ეკონომიკურ, კულტურულ რუკაზე და ქვეყნის

გვ-2

გაზეთი „ალიონი“ სარეკლამო მომსახურების ტარიფები

– მე-2 მთლიანი გვერდის (648 კვ.სმ) ღირებულება 120 ლარია;

– მე-3-7 (თითოეული 810 კვ. სმ) მთლიანი გვერდებისა – 150-150 ლარი;

– 1-ლი, ფერადი გვერდი მთლიანად (810 კვ. სმ) არ იყიდება, ნახევარი გვერდის (405 კვ. მ) ღირებულება 300 ლარია;

– ბოლო, მე-8, ფერადი გვერდი მთლიანად 300 ლარი ღირს;

– შიდა შავთეთრ გვერდებზე ფერადი ბეჭდვის შემთხვევაში გვერდის საფასური 50 ლარით იზრდება.

– პოლიტიკური რეკლამის ღირებულება ორმაგია;

– მილოცვა ფერად გვერდზე 32,40 კვ. მ-ზე, სურათით - 25 ლარი;

– სამგლოვიარო განცხადება - სიტყვა 25 თეთრი, პლუს სურათი (5X6 სმ) - 2 ლარი;

– გახსენება, ნეკროლოგი – სიტყვა 20 თეთრი, პლუს სურათი (5X6 სმ) - 2 ლარი;

საცალო ფასი: 60 თეთრი,
ხელმოწერა:
ერთი თვით – 2,40 ლარი,
სამი თვით – 7,20 ლარი,
6 თვით –14,40 ლარი,
ერთი წლით – 29,60 ლარი.

გაზეთში გამოქვეყნებული მასალების შინაარსი შეიძლება არ ემთხვეოდეს რედაქციის თვალსაზრისს.

ავტორები თვითონ არიან პასუხისმგებელი ინფორმაციის სიზუსტეზე.

რედაქციაში აუდიოჩანაწერები ინახება ორი კვირის განმავლობაში, ამ ვადის გასვლის შემდეგ პრეტენზიები აღარ მიიღება.

რედაქცია ავტორებისაგან არ მიიღებს სამ ხელნაწერ გვერდზე მეტ მასალას.

გამოქვეყნებული მასალების გადაბეჭდვა აკრძალულია რედაქციიდან ნებართვის გაცემის გარეშე.

სარედაქციო კოლეგია

რედაქტორი
ნუგზარ ასათიანი
nugzarasatiani@rambler.ru
558 499100

საინფორმაციო სამსახურის ხელმძღვანელი:
თემურ მარშანიშვილი
tem52@mail.ru
599 373515

კომპიუტერული უზრუნველყოფა
გიორგი გოგოლაძე
gia_77@mail.ru
551 576060

რედაქციის მისამართი: ქ. ოზურგეთი, გაბრიელ ეპისკოპოსის ქ.№3
ტელ: 558 499 100 გაზეთი რეგისტრირებულია ოზურგეთის რაიონულ სასამართლოში 18. 11. 2004 №44/4-311
გაზეთი იბეჭდება გამომცემლობა „მერიდიანში“
მის: თბილისი, ვ. ბაგრატიონის ქ. №77

დაიწყეთ ყოველი ოთხშაბათი ალიონზე

«ალიონით»

„მმართველი გუნდი ყველა დაწყებულ საქმეს ბოლომდე მიიყვანს“

გასულ პარასკევს „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო“ ოზურგეთის, ლანჩხუთისა და ჩოხატაურის მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატი ვასილ ჩიგოგიძე წარადგინა

შიგნითაც, როდესაც საქმე შიდა ტურიზმს ეხება. უპრეცედენტოდ მნიშვნელოვანი, მასშტაბური პროექტები განხორციელდა, რომ არაფერი ვთქვათ ჩვენი კულტურული მემკვიდრეობის აღდგენაზე, მის მოვლა-პატრონობაზე, ეკლესიების მშენებლობასა და აღდგენაზე. გვეამყება, რომ გვაქვს თეატრის განახლებული შენობა, გავარემონტეთ ფოკლორის ცენტრი, სადაც ჩვენი საამყო ფოლკლორი ახალ თაობებს გადაეცემა, ვამთავრებთ მუზეუმის მშენებლობას და ჩვენი კულტურა, ისტორია ახალი სახით წარსდგება საზოგადოების წინაშე.

პარლამენტის თავმჯდომარის თქმით, ადამიანზეა ორიენტირებული, პირველ რიგში ჯანდაცვის სისტემაა, სადაც უპრეცედენტო მასშტაბის ინვესტიციაა განხორციელებული. ამ რეფორმების სისწორე წლევანდელმა წელმაც დაადასტურა.

პარლამენტის თავმჯდომარემ მედპერსონალს და პანდემიის წინააღმდეგ ბრძოლაში ჩართულ თითოეულ ადამიანს მადლობა გადაუხადა გაწეული შრომისთვის და განაცხადა, რომ მმართველი გუნდი იდგება კოვიდ-19-თან მებრძოლთა გვერდით მანამ, სანამ გლობალური პანდემია არ დამარცხდება, არ დაიწყება ეკონომიკის აღდგენა და ქვეყანა ნორმალური სოციალური, ეკონომიკური და პოლიტიკური ცხოვრების პროცესს არ დაუბრუნდება.

არჩილ თალაკვაძემ ხაზგასმით აღნიშნა, რომ სახელისუფლებლო გუნდი, პრემიერ-მინისტრის ხელმძღვანელობით, აკეთებს უპრეცენდეტოდ დიდ ინვესტიციას მომავალში. მისივე თქმით, ხორციელდება ფუნდამენტური რეფორმები განათლების სექტორში, დაგეგმილია დაფინანსების გაზრდა მომავალ წლებშიც. ამას გარდა, იდება მნიშვნელოვანი ინვესტიციები ინფრასტრუქტურაში, ეკონომიკასა და ჯანდაცვაში.

–ეს ნიშნავს უფრო მაღალ ხელფასებს პედაგოგებისთვის, ახალ სკოლებს, უნივერსიტეტებს, უფრო ხარისხიან და კონკურენტულ განათლებას თითოეულ სასწავლო დაწესებულებაში, რაც თავისთავად, უკვე ნიშნავს მეტ დასაქმებას, უფრო შემოსავლიან სამსახურებს და მეტ შემოსავალს თითოეულ ოჯახში, - განაცხადა პარლამენტის თავმჯდომარემ.

არჩილ თალაკვაძემ ისაუბრა გურიაში განხორციელებული და მიმდინარე პროექტების შესახებაც და თქვა, რომ მმართველი გუნდი ყველა დაწყებულ საქმეს ბოლომდე წარმატებით მიიყვანს. მისივე თქმით, ახალი სამეწარმეო პოტენციალის მხარდაჭერა,ახალი, უფრო შემოსავლიანი სამუშაო ადგილების შექმნა და რაც შეიძლება, მეტი ადამიანის დასაქმება იქნება „ქართული ოცნების" მთავარი საზრუნავი შემდეგ წლებშიც. ამ კონტექსტში, კი, ყურადღება განსა-კუთრებით, ახალგაზრდებზე გამახვილდება.

შემდეგ პარტია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს“ გენერალურმა მდივანმა კახი კალაძემ შალვა რადიანის სახლ-მუზეუმის ეზოში შეკრებულ 200-მდე ოზურგეთელს და სტუმრებს საქართველოს პარლამენტის მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატი **ვასილ ჩიგოგიძე** წარუდგინა.

–მინდა მადლობა გადავუხადო ჩემს პოლიტიკურ გუნდს– „ქართულ ოცნებას“ ამ ნდობისათვის.

ჩემმა მშობლებმა ბავშვობიდანვე ჩამინერგა ჩემი სოფლისა და კუთხის სიყვარული. სწორედ ამიტომ 17 წლის წინ გადავწყვიტე გავმხდარიყავი ჩოხატაურის მაჟორიტარი დეპუტატი, სადაც ჩემი სიყვარული მათდამი ზრუნვაში გადამეყვანა.

მაშინ სულ სხვა დრო იყო. ბიუჯეტი არ იძლეოდა საშუალებას დაფინანსებულიყო სხვადასხვა სახის მნიშვნელოვანი პროექტები, ამიტომ ჩემი და ჩემი მეგობრების რესურსით ვახერხებდი ჩემი ხალხის პრობლემების მოგვარებას.

დღეს სულ სხვა რეალობაა. დავდივარ მოსახლეობასთან შეხვედრებზე და ყველგან თვალნათლივ ჩანს, ჩვენი სახელისუფლებო გუნდის მიერ განხორციელებული პროექტები ჯანდაცვის სფეროში, განათლების სისტემაში, ინფრასტრუქტურულ პროექტებში.

მე მჯერა, სახელისუფლებო გუნდი ერთად გაუმკლავდეს იმ გამოწვევებს, რომელიც არის რეგიონის მოსახლეობაში.

მინდა ნოდარ დუმბაძის სიტყვებით დავასრული: „სიცოცხლის სამოსახლოა, ჩემი პატარა გურია.“

მჯერა, თქვენი თანადგომით, ჩვენს გუნდთან ერთად გავიმარჯვებთ და გავაგრძელებთ ჩვენი კუთხისა და ჩვენი ქვეყნის კეთილდღეობისათვის სვლას –განაცხადა **ვასილ ჩიგოგიძემ.**

გიორგი სიორიძე: „ის, რაც სოციალური უზრუნველყოფის თვალსაზრისით გურიაში ხდება, „ოცნების“ ხელისუფლების დანაშაულებრივი პოლიტიკის შედეგია“

„ლელოს“ გურიის ოფისი უახლოეს დღეებში გაასაჯაროებს კონკრეტულ ფაქტებს, როცა საარსებო შემწეობის ბენეფიციარებს დახმარება მოეხსნათ პოლიტიკური მოტივებიდან გამომდინარე

გურიაში განსაკუთრებით მძიმე ვითარებაა სოციალურად დაუცველის სტატუსის მაძიებელთა თვალსაზრისით. გურია რჩება საქართველოს რეგიონებს შორის ერთ–ერთ ყველაზე ღარიბ მხარედ და ეს ცალსახად არის „ოცნების“ ხელისუფლების დანაშაულებრივი პოლიტიკის შედეგი.

ამის შესახებ საგანგებო ბრიფინგზე განაცხადა პოლიტიკური გაერთიანება „ლელოს“ მაჟორიტარობის კანდიდატმა ოზურგეთის, ლანჩხუთისა და ჩოხატაურის საარჩევნო ოლქში **გიორგი სიორიძემ.**

გიორგი სიორიძემ ბრიფინგზე აღნიშნა, რომ კატასტროფულ მაჩვენებელზეა რეგიონში მიზნობრივი სოციალური დახმარებების მიმღები ოჯახების რაოდენობა: „2020 წლის სექტემბრის მონაცემებით, გურიაში 5 415 ოჯახი, ანუ 21 322 ადამიანი, ანუ მოსახლეობის 18,9% იღებს საარსებო შემწეობას. ეს არის უზარმაზარი რიცხვი და ეს არის არსებული სოციალური კატასტროფის მაჩვენებელი, მაგრამ უფრო დიდი უბედურება ის არის, რომ დინამიკაში ეს მონაცემები გაზრდილია.

კერძოდ, 2016 წელს გურიაში მიზნობრივი სოციალური დახმარების მიმღები იყო 5 141 ოჯახი, ანუ 18 710 ადამიანი – მთლიანი მოსახლეობის 17,0%. ანუ ოთხ წელიწადში რეგიონში სიღატაკე 2%–ით არის გაზრდილი. კიდევ უფრო დანაშაულია ის, რომ მმართველი ძალა სოციალური დახმარების დანიშვნა–მოხსნის საკითხს ხშირად პოლიტიკური და საარჩევნო მანიპულაციებისთვის იყენებს. ჩემთვის გაუგებარია, მიუღებელია და უბრალოდ პოლიტიკური უტიფრობაა, როცა ამ ფონზე „ოცნება“ საამურ ცხოვრებასა და სოციალური ვითარების გაუმჯობესებაზე საუბრობს“, – აღნიშნა სიორიძემ.

მისი თქმით, „ლელოს“ გურიის ოფისი უახლოეს დღეებში გაასაჯაროებს კონკრეტულ ფაქტებს, როცა საარსებო შემწეობის ბენეფიციარებს დახმარება მოეხსნათ პოლიტიკური მოტივებიდან გამომდინარე.

სიორიძემ ბრიფინგზე აღნიშნა, რომ მთავარი პრობლემა „ოცნების“ სოციალური პოლიტიკის მცდარ და ფაქტობრივად დანაშაულებრი პოლიტიკაშია: „ვითარება, როცა სოციალურ შემწეობაზეა დამოკიდებული მოსახლეობის 20% და მეორე 20% ამ შემწეობის მიღებას ითხოვს, ხელს აძლევს „ოცნების“ ხელისუფლებას, ისე, როგორც ხელს აძლევდა „ნაციონალების“ ხელისუფლებას. თვეში ამ რამდენიმე ათეული ლარის მოხსნა–დანიშვნით ხელისუფლება, როგორც ცენტრალურ, ისე მუნიციპალურ დონეებზე, უკანონოდ, დანაშაულებრივად მანიპულირებს და პოლიტიკური სარგებლის მიღების მიზნით იყენებს სოციალური შემწეობის ინსტიტუტს“, – განაცხადა სიორიძემ.

მაჟორიტარობის კანდიდატმა „ოცნების“ სოციალურ პოლიტიკას სიღარიბეში ჩარჩენის პოლიტიკა უწოდა და განაცხადა, რომ ერთადერთი პოლიტიკური ძალა, ვისაც აქვს რეალური ხედვა და გეგმა, როგორ უნდა ტრანსფორმირდეს ეს პოლიტიკა ეკონომიკურ წარმატებასა და გაუმჯობესებულ სოციალურ ვითარებაში, არის „ლელო საქართველოსთვის“.

„ლელოს მარშალის“ გეგმაში მკაფიოდ არის გაწერილი სოციალური ვითარების სასიკეთოდ შეცვლის გეგმა. კერძოდ, – დასაქმების შემთხვევაში, სოცდახმარების მიმღებს 2 წლის განმავლობაში შეუნარჩუნდება როგორც სოციალური შემწეობა, ისე შესაბამისი სამედიცინო დაზღვევის სრული პაკეტი. ამდენად, სოციალური შემწეობის პროგრამები ვეღარ გახდება პოლიტიკური მანიპულირებისა და ადამიანის დამამცირებელი და ღირსების შემლახავი იარაღი. გარდა ამისა, შეიქმნება სოციალური რეესტრი, ანუ ერთიანი სისტემა იმისთვის, რომ სოციალური დახმარებები სამართლიანად გადანაწილდეს. ამასთანავე, „ლელოს“ ხედვაა, რომ ყველა სოციალურად დაუცველი უნდა სარგებლობდე სამედიცინო დაზღვევის სრული პაკეტით და, რაც მთავარია, სახელმწიფოს ვალდებულება გახდება სოციალურად დაუცველთა პროფესიული გადამზადების უზრუნველყოფა, რათა მათ მომავალში აუცილებლად შეძლონ საკუთარი ღირსეული შრომით ცხოვრებისა და განვითარებისთვის აუცილებელი შემოსავლის მოპოვება.

„ლელოს“ მიზანია, რომ სოციალურად დაუცველი ადამიანი ხვალ და ზეგ გახდეს საშუალო ფენის წარმომადგენელი. „ოცნებისა“ და „ნაცმოძრაობისგან“ განსხვავებით, „ლელოს“ სოციალური პოლიტიკაა მოსახლეობის შემოსავლის გაზრდა და არა მისი სოცშემწეობაზე უსასრულოდ დამოკიდებულება“, – აღნიშნა გურიაში „ლელოს“ მაჟორიტარობის კანდიდატმა.

თემურ მარშანიშვილი

ლიტერატურული გურია

საქართველოს მწერალთა შემოქმედებითი კავშირის გურიის ორგანიზაციის გაზეთი № 10, (13), ოქტომბერი, 2020წ

სტუმარი

გურო დავითლიძე

„სიტყვა და საქმე“

ის სახლი, სადაც დაიბადე, იცხოვრე წლები,
ის სახლი, რომლის ეზოშიც
ტალახში ამოგანგლული თამაშობდი,
სადაც გაგაჩნდა სურვილები, სადაც ხანდახან,
უზრდელ სიტყვასავით წამოგცდებოდა
შენს თავთან „ოცნება“,
სადაც პირველად გაირბინე პრიალა იატაკზე
და დაეცი - ისევ იქ არის.
უბრალოდ გზები აირია., ანუ ცხოვრება
და გაზეთით „სიტყვა და საქმე“ , შენი ბავშვობა
გაიყიდა ძალიან მალე.
და წამოსვლისას, როცა ხელი ჩაგჭიდეს ძლიერ,
რადგან არაფრით არ ტოვებდი
ოთახს ბავშვობის,
რადგან ვერაფრით დაიჯერე, რომ ამ ოთახში,
ვეღარ გაშლიდი შენს ხალიჩას ალადინივით,

ისე აბღალვდი, როგორც მაშინ, როგორც პირველად,
როცა ნაყინი ვერ გიყიდა მამამ ეზოში და
ოდნავადაც ვერ გაიგე ამის მიზეზი.
ის სახლი, სადაც გაიზარდე, ალაპარაკდი,
სადაც ბავშვობა გაატარე,
ისევ იქ არის - შენ კი
ტკივილი გალაპარაკებს,
რადგან უბრალოდ აირია
გზები ცხოვრების.

***

მე რომ მიყვარდა, ღმერთო, როგორ მიყვარდა მაშინ...
მიყვარდა ძლიერ, მტანჯავდა მისი
დაკარგვის შიში და
როგორც კაცი ღელვის დროს ზღვაში,
და როგორც კაცი ღელვის დროს ნავში,
ისე ვდარდობი,
რომ არასოდეს არ ეგრძნო არვის მისი თითები.

***

მე რომ მიყვარდა, სხვანაირი ვიყავი მაშინ,
ან უფრო ზუსტად სხვანაირად
ვცხოვრობდი ალბათ, რადგან არასდროს
მეშინოდა წვიმის და ქარის,
რადგან არასდროს არ
მიგრძვნია
ისეთი დაღლა, როგორიც ახლა დამჩემდა ბოლოს.

აფრენა

და რატომ ხდება დღემდე არ იცი,
ან უფრო ზუსტად
დღემდე ვერ ხვდები,
სიყვარულს მაინც
რატომ არ იშლი,
ფეხებში ყველას რატომ ედები.
*
და რატომ ხდება დღემდე არ იცი,
რომ საკუთარი თავი
დაგრჩა, საკუთარ
თავის გადასარჩენად,
სადღაც საფრენად,
ღრუბლებში, ზემოთ!
*
და რატო ხდება დღემდე არ იცი,
რომ ყველა ერთად
წავიდა ისე,
უთქმელად სიტყვის. - ხოდა განიცდი
და ცრემლებს მალავ
და ცრემლებს იჭერ
თვალის გუგებით.
*
იქნება არც ღირს ამის გაგება,
იქნებ აღარც ღირს
მეტი წუხილი,
და საკუთარი თავი გაგეშვა
მდინარის პირას
საბოდიალოდ. - დაე იაროს,
იაროს ბევრი.
*
და რატომ ხდება ვინც შენ გიყვარდა,
ისე არაფრით
არ შეგიყვარდა,
რომ არასოდეს გაგეშვა სადმე.

***

დიდი ხანია ლექსის წერას
გადავეჩვიე, – ვერ მივეჩვიე
უსიყვარულოდ წერას და
ფიქრებს...
ეს ღამეც იქნებ
გადავაგორო და მზეს შიშველი
ხელებით მივწვდე.

ჯემალ (დავით) დობორჯგინიძე

ლექსთა ციკლიდან „ტერენტი გრანელის მონოლოგები“

„ჩაიცვით, ყმაწვილო და კარგად იკვებეთ“, – უთხრა შალვა დადიანმა ტერენტი გრანელს, ტერენტიმ კი უპასუხა:

„ბატონო შალვა, ჭამა და ჩაცმა
ბავშვმაც კი იცის, არა თუ კაცმა,
მაგრამ არ იცნობთ თქვენ სილარიბეს,
რომელიც არის პატარა ჯვარცმა“.

ტერენტი გრანელი



მაქვს სამოსელი, რომ შევიმოსო?
არ მაქვს პურ-ღვინო, როგორ
ვილხინო?
არც ცის მანანა (ერს ერგო მოსეს),
რომ თავადურად წავიღიღინო.

ყარიბი ვარ და მეტად ღარიბი,
მიწა – ლეიბად, ცაა საბანი.
მზე და მთვარეა ჩემი არიფი,
წვიმა – ჭუჭყიან ტანის დამბანი.

ჩემი სიმდიდრე ჩემი ლექსია,
რითმა და რიტმი – სამკაულები,
რაც მიმღერია და მიკვნესია,
მაკმაყოფილებს მგოსანს სრულებით.

მაქვს სამოსელი, რომ შევიმოსო?
არ მაქვს პურ-ღვინო, როგორ
ვილხინო?
არც ცის მანანა (ერს ერგო მოსეს),
მე ვტირი, როგორ წავიღიღინო.

პაპუნა ფირცხალაიშვილი

ალსარების მაგიერ - მამას

ადრე, როდესაც უდარდელი შვილი
ვიყავი,
(უკვე სითეთრე მომიტანეს ცივმა
ქარებმა),
ვფიქრობ მაშინ, რომ გულახდილად
მოვსულიყავი
და მესაუბრა. საუბარი გაგახარებდა.
ახლა კი მინდა, ყველა ღრმული რომ
დაუამდეს
გულს და მიიღე გულახდილი ეს
აღსარება,
რომელიც იწვევს ცრემლის დენას,
ფიქრს და ჟრუანტელს,
რადგანაც უკვე იმხელა ვარ, მიწევს
ხანდახან,
რომ მოგატყუო. გახლეჩილა მკერდი
შუამდე
და უნებლიე პოეტური ჩემი გადახრა
ისეც შვება, რომ მცნებებიდან ხშირად
ათივე
დარღვეულია და რადგანაც ჩემი მამა
ხარ
შენთან მოვედი. ამ ცხოვრების დედა
ვატირე,
რომ მშობლის ნუგეშს მირჩევნია
მუდამ სასმელი.
და რომ ყოველთვის მიველტვოდი
ჩინს და პატივებს.
და ზუსტად ვიცი მომავალი და
ხვალ რაც მელის
შენ რომ გინდოდა, ის არ არის,
რადგან ათასი გზა გავიარე, ათას
ერთი კი ფეხსაცმელი გამოვიცვალე.
საბოლოოდ ღმერთი გადავსვი
გულიდან ტვინში. სირცვილით ვარ
სავსე პირამდე.
აღარც კი მახსოვს სად ვიფორთხე,
როგორ გადავრჩი.
და სანამ ჩემს თავს ზვარაკივით
შემოგწირავდე,
მითხარი, უთქმელ მონატრებას თუ რა
ფასი აქვს.
აი ორ დღეში ისევ მოვა უქმი
კვირადღე.
წახვალ ტაძარში სალოცავად.
გავშლი პასიანსს
და არაფრის მთქმელ ფიქრს შევყვები
ყველა უჯრედით.
სახლში არ ვარ და ყველაფერი
მაინც ასეა...
შენც კარგად იცი, რომ არაფერს
გავაფუჭებდი
რამე რომ მაინც შემძლებოდა. მე კი
ლექსების გარდა,
არაფრის თავი არ მაქვს. შენ რას
ურჩევდი შვილს,
გაბრუებულს ცხოვრებით და თავის
შექცევის
ამბებით გართულს. ლამაზია
დიდიქალაქი
მატარებლებით, ვაგონებით, თეთრი
რელსებით,
ხალხით, ამბებით, წვიმების ხმით და
წყლის მარაგით.
მეცშევერიე. ჩამითრია. ბოლოს
ჩავყევი.
ხორცი წავბილწე, გავასუქე, თავის
ქალა კი
ისე ავივსე ხოჭოებით და ბაყაყებით,
რომ ამიმყაყდა შეგრძნებები, ასე
დამთავრდა
ჩემში სიწმინდე - ანგელოზის ხმაზე
ნაყეფი.
ყველასთან ვცდები, მართალი ვარ
მხოლოდ ზამთართან
ვერ მიერთგულა და მიცქერდა
ხშირად ეჭვითაც.
გამომაცალა ყველა, ვინც კი ნებას
დამრთავდა
მეცხოვრა: კარგად, ზედმიწევნით,
ლაღად, ბეჯითად
და ყველასათვის. ისე გაქრა ჩემი
ბავშვობა,
ვერ მოვასწარი პირველ კლასში, რომ
დამეჭიდა
იმ ბიჭთან ისევ დაჭიდება, თმების
გაშრობა
და დამრჩა ასე დათოვლილი. ეს
აღსარებას
აღარ ჰგავს უკვე ყალიბდება თითქოს
ნაშრომად
ან ერთმანეთში გადახლართულ
მემუარებად.
მე კი ვრჩები და ორი ბატიც თუ არ
მენდობა,
და ანგელოზიც ჩემთან აღარ
მოიყვანება.
მამაშვილური, ჩვენებური, ურთიერთობა
შენ შეიფარე როგორც მტრედი,
როგორც ჭილყვავი,
როგორც ეს ლექსი, რომლიდანაც
ვითხოვ შენდობას.

ნინიკო მშვიდობაძე

რექვიემი სულისთვის

მიმოყვებიან ქარებს ნივთები,
ანდაც სიზმრები გაჰყვებიან წყალს,
ჩვენ რომ ვუყვებით...
და მეცოდება ქარი,
დარდივით რომ ვატანთ ნივთებს,
და მეცოდება წყალი,
სამუდამოდ თან რომ უნდა ატაროს
ჩვენი შემაშინებელი სიზმრები
და ხანდახან საკუთარ თავს ვუბრაზდები:
წყალი და ქარი რა შესაბრალებელია,
როცა დედამიწა სადაცაა კარგა ხნის დაგროვილი ნახველივით
ამოახველებს ჩვენ მიერ ჩადენილ თითოეულ ცოდვას.
ამოახველებს ვულკანებად, წყალ-დიდობებად, ქარიშხლებად,
მიწისძვრებად...
აბა, სანამდე შეიძლება ითმინოს,
გვითმინოს,
მოგვითმინოს...
ქარებს წაყოლილი ნივთები და
წყალს გატანებული სიზმრები ხომ არაფერია იმასთან შედარებით,
რასაც ყოველ წამს ჩავდივართ.
ხანდახან აღარ მინდა ვიყო ადამიანი,
ხე მინდა ვიყო - რომელიც არასოდეს
არავის შეაქცევს ზურგს,
ან ჩიტი - თუნდაც სულ ციცქნა, პატარა ჩიტი,
ფრენა ხომ მაინც შემეძლება.
მერე რა, რომ ჩემი ხელები ფრთებია
და მერე რა, რომ სიარული მაინც ვერ ვისწავლე...
მაინც ჩიტად ყოფნა სჯობს ასეთ ახირებულ ქალად ყოფნას.
მოფერებას გადაჩვეულ თითებს რიტ-მულად ვაყოლებ მუსიკას:
ვცეკვავ - ყველა ტკივილის და დაგუბებული სევდის და
ვერამოთქმული დარდის და უკან ჩაბრუნებული ცრემლების ჯიბრზე...
შენ გინახავს,
როგორ ადიდდნენ ჩემი თვალებიდან გადმოსული ნაკადულები და
იქცნენ ზღვებად, ტბებად, მდინარეებად, ოკეანეებადაც კი?
გინახავს, როგორ დასტიროდა დედას შვლის ნუკრი?
იცი, როგორ ძალიან ჰგვანან ქმარმკვ-დარ ქალებს ხეები ზამთრობით?
ისე შემზარავად ჰგვანან, მეშინია და რომ არ დამესიზმროს,
დაძინებამდე წყალს ვუყვები...
ქარს გავატანე შენი ნაჩუქარი ღიმილები,
ქარს გავატანე შენი ნაჩუქარი კოცნები,
შენი მოფერებებიც ქარს გავატანე და ახლა ისღა დამრჩენია,
წყალს წინასწარ მოვუყვე,
როგორ ჰგვანან ქმარმკვდარ ქალებს ხეები ზამთრობით,
მერე რომ არ დამესიზმროს.
დედამიწა კი,
სადაცაა,
წლობით დაგროვილ ნახველს ამოაყ-ოლებს გაბრაზებას
ქარიშხლებად,
წყალდიდობებად,
მიწისძვრებად,
ცუნამებად...
და მერე მივხვდებით, როგორია ნამდვილი ტკივილი,
როცა გაგვახსენდება, რომ ეს მიწა უკვე ჩვენი იქით წასული დების და ძმების
სხეულებია, თვალებია, ხელებია, მუხლებია...
ჩაიშლებიან თვლები...
დაირღვევიან თვლები...
აიმღვრევიან წყლები...
ჩვენ კი...
ხე მაინც ვყოფილიყავი, ზურგს არავის შევაქცევდი...
ან თუნდაც პატარა ჩიტი,
ფრენა რომ შემძლებოდა...

მარიამ ბაქანიძე

სულო!

.სულო სიცოცხლით
ცისკენ მავალო,
გამომწყვდეულო
"ტაძარში",
წამში მოსული,
წამში დამტოვებ
"სესხთან"
ხრწნილების
ხანძარში.
ვიდრე ერთად ვართ
სულ-სისხლ -ხორცი
და...
ვიდრე მატარებ ბეწვზე.
ფიქრი ,მყოფადით
გონთან თანხვედრა,
ჯვარი,ჯალათი
თხემზე.
სულო!
სიცოცხლევ!
ბროლის ზღვის
წვეთო,
მსწრაფლ შერეულო
მღვრიეს.
ხე-რ-ხე- მალი-მალ
კენწეროებზე
ბნელი ვერ სწვდება
მზიერს.
ასე დავდივართ მე!
და მე! კრთომით...
თიხა მაქვს ვალი
სოფლის,
ვაშლის ხეს ტანზე
გველი აცვია...
და სუნი ასდის
ოფლის.
სულო სიცოცხლით
ცისკენ მავალო,
გამომწყვდეულო
"ტაძარში"
"კეისარს "ვთხოვე
ცის-სარტყელები.
გადამახედა
ხანძარში.
იწვოდი...
ისე იტანჯებოდი,
გწვავდნენ,
გშანთავდნენ
ცეცხლის ენებით.
აბა, მე როგორ უნდა
მეშველა ამ უსახური
თიხის ხელებით.

და... მე თავს ვუხრი
უსასრულობას,
გავირინდები
იისფერ გარსში.
ჯალათს ავკიდებ
ყველა დილემას,
რაც რომ საცდურად
დამიდის ტანში.
კაცის სხეულში,
უჩინარებით,
გამომწყვდეულო
ადამიანო.
წამში მოსულო
უსასრულობავ!
ოქროს ხელადავ
მრწამს-კვალმზიანო.
სულო!
.სულო სიცოცხლით ცისკენ მავალო,
გამომწყვდეულო "ტაძარში"
წამში მოსული,
წამში დამტოვებ "სესხთან"
ხრწნილების ხანძარში.
ვიდრე ერთად ვართ სულ-სისხლ -
ხორცი და...
ვიდრე მატარებ ბეწვზე.
ფიქრი,მყოფადით გონთან თანხვედრა,
ჯვარი, ჯალათი თხემზე.
სულო!
სიცოცხლევ!
ბროლის ზღვის წვეთო,
მსწრაფლ შერეულო მღვრიეს.
ხე-რ-ხე- მალი-მალ კენწეროებზე
ბნელი ვერ სწვდება მზიერს.
ასე დავდივართ მე! და მე! კრთომით...
თიხა მაქვს ვალი სოფლის,
ვაშლის ხეს ტანზე გველი აცვია...
და სუნი ასდის ოფლის.
სულო სიცოცხლით ცისკენ მავალო,
გამომწყვდეულო "ტაძარში"
"კეისარს "ვთხოვე ცის-სარტყელები.
გადამახედა ხანძარში.
იწვოდი...
ისე იტანჯებოდი,
გწვავდნენ,
,გშანთავდნენ ცეცხლის ენებით.
აბა მე როგორ უნდა მეშველა ამ
უსახური თიხის ხელებით.
და...

მე თავს ვუხრი უსასრულობას,
გავირინდები იისფერ გარსში.
ჯალათს ავკიდებ ყველა დილემას,
რაც რომ საცდურად დამიდის ტანში.
კაცის სხეულში,
უჩინარებით,
გამომწყვდეულო ადამიანო.
წამში მოსულო
უსასრულობავ!
ოქროს ხელადავ
მრწამს-კვალმზიანო.

ოტია ტრაპაიძე

***

ღამეებს ფერად სტრიქონთან ვათევ,
ოცნება მოდის ლაღად, ხმაურით,
ღამესთან თავს ვგრძნობ ყოველთვის
კარგად,
რა ვნახე მთებში მე სიარულით...

მინდვრად დავკრიფე ლურჯი იები,
ჩემი საწოლის თავთან დავიდე,
მათი სურნელით გათანგულ ღამით
სიზმარში ვნახე აზრთა გამრიგე.

და ვხედავ ახლა სუნთქვას
ქალწულის,
მკერდის ბორცვები ზეცის მძივია,
მაგრამ რითმებმა ისევ წამიღეს
და ამისრულდა, რაც მისურვია...

და ყველა დარდი ქარს გავატანე,
გულმა შვებისთვის მითხრა
მადლობა,
სადღაც – შორეთში თოფი გავარდა,
ვაი თუ მოკლეს ირმის ბავშვობა.

ახლა არაფრის არ მეშინია,
დარდი, ვარამი არახალია,
აგერ სარდაფში ღვინის ჭურია,
ღვინოში ვიტყვი, რაც მართალია...

სავსეა სივრცე სიცარიელით
და ღმერთმა იცის, რით შეივსება,
შემოდგომიდან გაზაფხულამდე
კიდევ ბევრი რამ გამოიცვლება...

ასე იყო და ასე იქნება,
რაც გვიწერია, მას ვერ ავცდებით
და რადგან მოდის ცელის პატრონი,
უფლება არ მაქვს დროის გაცდენის.

***

ბუხრის ახლოს ვზივარ მარტო
და შენ გისმენ, ნაკვერჩხალო,
ნეტავ ერთი მაცოდინა,
რა გიხარის, რაზე ხარობ?

ვინ რას გეტყვის და ტკაცუნობს
წიფლის შეშა ბუხრის ძირში,
ვფიქრობ ჩემთვის – ვარ საჭირო
ქვეყნის ლხინში – გასაჭირში!..

და ვერ ვხვდები, რატომ დავრჩი



მარტოდ-მარტო ქვეყანაზე,
ეგობრებიც აღარ მისმენს,
ახლა ყველა გადგა განზე.

შუაღამე გადავიდა,
მთების თავზე იწვის მთვარე
და გროვდება ცოდვა-მადლი
ჩემი სახლის სახურავზე.

ხმა ჩამესმა ჩუმი, წყნარი:
,,სულ ერთი დრო არ იქნება
და ამ ბედკრულ ქვეყანაში

გურიაში გასვენების დროს გაგონილი სასაცილო ფრაზები

- იმფერ შორ ადგილას უულეს საფლავი, ორმოცი გზაში მუუსწრებს.
- რაფერი ყვავილები გიყიდიენ ქალო, ათხუებთ ვინმეზე ამ კვტარს?
- ზომა-ზომაზეო რომ ჩივით, მუუჭერს აი ტუფლები ახლა თუ?
- აი ყბაი ნათხუარი ქონდა ამას თუ რეიზა უუკარით ასტე მოღრინკულად?
- რამდენ რაცხას ატნევ ქალო, მეორადების ბუტკას ხსნის აი ცხონებული იქინე?
- რა ყაძახი წეგვექცაო რომ იძახიენ, მანამდე რავა იდგა მაი გაჭირვებული თუ?
- ადეი ზეთ ადეიიი...რაფერ არცაროის აფერი არ გეყურებოდა ნენაااااა.
- პაწე ნელა წაით ბიჯო, იმფერი ყანყალობს მაი კვტარი, არ შუუვარდეს ვინცხას ეზოში.
- იმდენი ყვავილებია ზალაში, კრუგებს ვის ურტყამ ვერ გეინკლოვ.
- აფერი არ გიდგებოდა, შე უბედურო და მზეი მოგადგა აგერ მზეი-ი!

ჩაიწერა **მაია თავართქილაძემ**

ჯემალ კეჭაყმაძე 80 წლისაა!

ჯემალ კეჭაყმაძე – ცნობილი მსახიობი და კალმოსანი, ოზურგეთის თეატრის სცენაზე უამრავი საინტერესო პერსონაჟის განმასახიერებელი და რამდენიმე წიგნის ავტორი 80 წლისაა! უფრო სწორად, ამ გაზეთის სამზეოზე გამოსვლის დროისთვის, ე. ი. დღეს, ეს კოლორიტი და ამაგდარი კაცი 80 წლისა და ერთი დღის გახდება

„ბატონო ჯემალ,

მოგესალმებით და გილოცავთ დიდ იუბილეს – ოთხოცი წლის სახელოვ-ნად გასრულებას! თქვენ, თქვენი მრავალხრივი შემოქმე-დებით, მნიშვნელოვანი ადგილი დაიმკვიდრეთ გურიის თეატრალურ ცხოვრებაში, გარკვეულწილად ქართულ კინემატოგრაფშიც, ამავე დროს, საკუთარი „მე“ წარმოაჩინეთ ქართულ ლიტერატურაში.

გისურვებთ დიდხანს სიცოცხლეს და მომავალ შემოქმედებით წარმატებებს თქვენს მრავალდარგოვან ასპარეზზე!

საქართველოს მწერალთა შემოქმედებითი კავშირი.

ჯემალ კეჭაყმაძე დაიბადა 1940 წლის 19 ოქტომბერს, შემოქმედში (კვირიკეთში), სოფელში, რომელიც უფლის სახელს ატარებს.

1958 წლის 27 დეკემბერს შრომითი საქმიანობა დაიწყო ოზურგეთის ალ. წუწუნავას სახელობის სახელმწიფო თეატრში, დამწყებ მსახიობად, სადაც დღემდე მოქმედი მსახიობია. განსახიერებული აქვს 150-მდე მთავარი და ეპიზოდური როლები.

კულტურის სამინისტროს გადაწყვეტილებით, დაჯილდოებულია „ამაგდარის“ წოდებით, მიღებული აქვს საქართველოს სახალხო არტისტის, ბატონი ევტროფი თალაკვაძის სახელობის ჯილდო, „მედალიონი“.

1960 წელს ბატონი ჯემალი გაიწვიეს სამხედრო სავალდებულო სამსახურში. დემობილიზაციის შემდეგ მოღვაწეობა განაგრძო მშობლიურ თეატრში.

1981 წელს დაამთავრა ლენინგრადის კულტურულ-საგანმანათლებლო უმაღლესი, ერთწლიანი სკოლა.

1988 წელს, ოზურგეთის კულტურის სამინისტროსთან და თეატრის ხელმძღვანელობასთან შეთანხმებით, გადაიყვანეს ნარუჯის ჩაის საბჭოთა მეურნეობის კულტურის სახლის დირექტორად, სადაც წარმატებით იღვაწა 8 წლის განმავლობაში. მისი ხელმძღვანელობით, დაბა ნარუჯაში ჩამოყალიბდა ბავშვთა ვოკალურ-ინსტრუმენტული ანსამბლი „სიხარული“, რომელიც განსაკუთრებული პოპულარობით სარგებლობდა მთელ გურიაში, მის ფარგლებს გარეთაც.

თეატრისადმი უდიდესმა სიყვარულმა აიძულა ისევ თეატრს დაბრუნებოდა, სადაც უკვე, როგორც თვითონ ამბობს, 62 წლის მუშაობის სტაჟი დაუგროვდა. ამაყობს, რომ მონაწილეა მშობლიური თეატრის პირველი გასტროლისა, რომელიც ქალაქ თბილისში ჩატარდა 1959 წელს.

ბატონი ჯემალი, როგორც ღირსეული პატრიოტი, აფხაზეთის ომის მონაწილეა.

1989 წლის 9 აპრილის ტრაგედიის შემდეგ, მყარად ჩაება ეროვნულ მოძრაობაში. თითქმის ყველა მნიშვნელოვანი შეკრებისა და ქმედების მონაწილეა.

1990 წელს ქალაქ ქობულეთში შეიქმნა აჭარა-გურიის საზოგადოება „საძმო“, რომელსაც აჭარაში ხელმძღვანელობდა აწ განსვენებული თემურ ოქროპირიძე, ოზურგეთში კი – თვით ბატონი ჯემალ კეჭაყმაძე.

ამავე წელს გადაწყვიტა სოფელ კვირიკეთის წმინდა მოწამეთა კვირიკესა და ივლიტას სახელობის ეკლესიის აღდგენა-აშენება, რომელიც იავარქმნილი იყო. დასახული მიზანი განახორციელა ერთ წელიწადში. ეკლესია 1991 წლის 28 ივლისს, წმინდანების ხსენების დღეს საზეიმოდ გაიხსნა.

2015 წლიდან ყოველწლიურად, წელიწადში ოთხჯერ – შობის, აღდგომის, კვირიკობის და მსოფლიო



ტაქსის დღეს კერძო ტაქსით უფასოდ ემსახურება მომლოცველებს.

ოზურგეთში საკმაოდ ცნობილი და წარმატებული მოჭადრაკეა, არის რაიონული და რეგიონული ტურნირების მრავალგზის პრიზიორი, თასებისა და მედლების მფლობელი.

აქვს შესანიშნავი ქართული ოჯახი, ჰყავს სამი შვილი, ხუთი შვილიშვილი და სამი შვილთაშვილი.

გასტროლებით მოვლილი აქვს მსოფლიოს 12 ქვეყანა.

2019 წლიდან არის საქართველოს მწერალთა შემოქმედებითი კავშირის წევრი, გაზეთ „ლიტერატურული გურიას“ სარედაქციო კოლეგიის წევრი. სამი წიგნისა და ორი პიესის ავტორი. გამოსაცემად ამზადებს ლექსების ახალ კრებულს. ხსენებული გაზეთის თითქმის ყველა ნომერში იბეჭდება მისი ნამუშაკარი.

წინა კვირაში რედაქციაში შემოგვიარა და სადღეისოდ ყველაზე აქტუალურ თემაზე მომცრო ექსპრომტი დაგვიტოვა მაგიდაზე:

„ღმერთმა მოგვცა ბოლო შანსი,
არჩევნებში კენჭი ვყაროთ,
ნუ გადავდგამთ ისეთ ნაბიჯს,
ხვალ რომ თავში ქვა ვიხალოთ“.

მოკრძალებული კაცია და ქვეყანაში არსებული სხვადასხვა სიტუაციების გამო (მძიმე სოციალური ფონი, კოვიდპანდემიის საფრთხე, დაძაბული საარჩევნო პერიოდი), მოკრძალებულად აღნიშნა თავისი 80 წლის იუბილე. 90 წლისას ეს ნომერი ნამდვილად არ გაუვა.

დიდხანს ჯანმრთელ სიცოცხლეს და თავისი ნიჭის ბოლომდე გახარჯვას ვუსურვებთ ბატონ ჯემალს!

ქართული ლექსით თენდები

მსახიობს და პოეტს, ჩემს ძმადნაფიცს ჯემალ კეჭაყმაძეს

სწორუპოვარო ვაჟკაცო,
ქართული ლექსით თენდები,
უქრობ მნათობად კაშკაშებ,
ასისაც არ დაბერდები.

თუნდ იყოს რკინის მკვნეტელი,
არ ეპუები მოსისხარს,
ხარ მომავლის გზის მჭვრეტელი
და ლოცვით ხვდები დღე სისხამს.

კაცი ხარ დღესასწაული,
მსახიობი და პოეტი,
შენ მხარს გიმშვენებს ნანული,
რომ ძლიო უსაზღვროეთი.

შვილების წრფელი მამა ხარ,
ბაბუა – შვილიშვილების,
ღმერთს შენ უცნიხარ მამაცად,
ვართ შენით კმაყოფილები.

შენ ჯემალ კეჭაყმაძე ხარ,
ჩემი ნანატრი ძმობილი,
ვამაყობ, რომ მიმშვენებ მხარს,
კარგი დედ-მამის შობილი.

იხარე, ჯემალ, ბის, ბრაო!
გლოცავდეს მთელი სამყარო,
მინდა, ასე მზნემ, ძმის ძმაო,
ასის გახდე და გვახარო.

სწორუპოვარო ვაჟკაცო,
ქართული ლექსით თენდები,
უქრობ მნათობად კაშკაშებ,
ასისაც არ დაბერდები.

ჯემალ (დავით) დობორჯგინიძე.



თემურ მარშანიშვილი

ვშლი და ვკეცავ მტკაველებს

თოვლის არა, ფიქრის ფიფქი
ზამთრის წამწამს ასველებს,
გვიანია, სათქმელს თითქმის
შუაღამე მახსენებს.

ელამია, – ასე ითქმის, –
ელვა, თვალს არ ასვენებს,
მარბენინებს ტეხვით კისრის,
ბნელში უხსნის ცას ვენებს.

ხელებს მოყრდნობილი პწკალით,
ზემოთ ვუშვებ მაშველებს,
ძირს, შოლტივით წვრილი
პწკარით,
დავდევ ავის მზრახველებს.

საყორნია, მთვარის ნამგლით,
ვერცხლს ყრის, ისე ახველებს,
ფანტელების მსუყე საგზლით
ბარს აგზავნის ნამქერებს.

ვეძებ სიტყვას, ბეჭედის მსგავსს,
არა ენის მქავებელს,
დავდევ, – ღმერთო, რამდენი

გვყავს?! –
ქვეყნის მუქთამჭამელებს.

რამდენიმეს ქეც ამოვდე...
ვშლი და ვკეცავ მტკაველებს,
აქედან და იქამომდე
ვზომავ ქართულ მთა-ველებს.

ერთი, ორი! – გამოღმით ვარ,
გაღმელები მახელებს,
უცხო ტომის გამოდის ხმა:
დაგამტვრევო მაგ ხელებს!

ახლა ერგნეთს თუ არიან,
მოდგებიან ხვალ თელეთს,
მართალი თუ მტყუანია,
ყველას ვაძლევთ წყალ-ხმელეთს?!

რომ ვერ ნახავთ, – ჩვენითაა, –
აქ უცოდველ კრავებს ბევრს,
რაც გვჭირს, ერთურთ რქენითაა,
ძარცვავენ და კლავენ ერს...

ბედსაზომი ფარგლებია –
ვშლი და ვკეცავ მტკაველებს,
დღეის ლეკვნი ხვალ მგლებია,
დავიბრუნებთ მთა-ველებს!..

გადავკოცნი მონატრებულ
ჯაველებს და გალელებს,
გისახსოვრებთ ძნებად შეკრულ
ჩემი ლექსის თაველებს.

რეზი ცინცაძე

ნაოქტომბრალი



ოქტომბერს ისევ დასჩემდა ქარი,
ფოთლები თითქოს მისთვის ოქრო
ღირს,
შემოდგომაზე მოხუცი ქალი,
ყოველთვის ითვლის დღეებს
ოქტომბრის.
თვალების ქვემოთ დამშრალი ღარი,
ღამეებს ითვლის სულში ჩატეხილს,
შემოდგომაზე მოხუცი ქალი,
კვლავ ელოდება მრავალ ქარტეხილს.
ცას ღამღამობით ნათელი ხალი,
ტანზე სხვადასხვა მხარეს ემჩნევა
და თვალს აყოლებს მოხუცი ქალი,
მის ცხოვრებაში მრავალ შეჩვევას...
ფოთლების გამო ცხოვრობდა
ხვალით,
ქარი რომელიც წარსულს მოუცდის,
გზას უყურებდა ფანჯრიდან ქალი,
მხოლოდ ასაკის გამო მოხუცი.
მშრალი ქუჩები ერჩოდნენ ქავილს
და ღამე გავდა მლოცველ დედაოს,
ჩუმად ამბობდა მოხუცი ქალი-
მხოლოდ თვალები არ ბერდებაო!
და წყალს მიჰყავდა ასაკის ნავი
ქარი ხეების გახდა მევაზნე...
და მიდიოდა მოხუცი ქალი,
მორჩილად ბოლო გაჩერებაზე.
ოქტომბერს ისევ დასჩემდა ქარი,
ფოთლები თითქოს მისთვის ოქროდ
ღირს,
შემოდგომაზე მოხუცი ქალი
დღეს აღარ ითვლის დღეებს
ოქტომბრის.

მერაბ ჩხაიძე
ორი სიზმარი
ზღაპარი

პაწაწინა თხუნელა თუნი დედას კითხვებით არ ასვენებდა:

– დე, მუდამ რატომ ბნელა? თუ გვესმის და ყნოსვაც გვაქვს, ხომ უნდა ვხედავდეთ, ა-ა, დე?

– ასეთია ჩვენი ხვედრი, თუნი, ჩვენ ხომ მიწაში ვცხოვრობთ? აქ არაფრის დანახვა გვჭირდება. სმენა და ყნოსვა კი ისეთი გვაქვს, რომ სხვებს შეშურდება. ასეა, ერთი რამ მოჭარბებულად გაქვს, მეორე, როგორც წესი, გაკლდება. სამაგიეროდ, ვერც ერთი ცხოველი ვერ გრძნობს საშიშროების მოახლოებას ისე, როგორც ჩვენ, თხუნელები.

გახსოვს იმ დღეს, რომ დამიძახე – ვიღაც მოდისო?

– კი, დე, მახსოვს.

– იცი? ის მაჩვი იყო, ჩვენი დაუძინებელი მტერი, მუდამ ჩვენზე ნადირობს. რომ არა თხუნელების შესანიშნავი სმენა და ყნოსვა, ხშირად ჩაგვიდებდა ხელში, მაგრამ ასე ძალიან იშვიათად ხდება. განა ეს საკმარისი არ არის? – უხსნიდა დედა.

– კი, მაგრამ ხომ შეიძლებაკარგადაც ვხედავდეთ? – ჩააცივდა პატარა.

– როგორ არ გესმის, თუნი? ჩვენ რომ თვალხილულები ვიყოთ, მაშინ ამგვარი სმენა და ყნოსვა აღარ გვექნებოდა, მაშინ, ვინ იცის, როგორ წარიმართებოდა ჩვენი ცხოვრება. მართალია, სიბნელეში ვცხოვრობთ, მაგრამ ჩვენთვის ასე ჯობს, - ისევ უხსნიდა დედა.

– ჰო, მაგრამ იმათ ქვეყანა მაინც ნახეს. მესმოდა იმ დღეს, ერთი წრუწუნა მეორეს ეუბნებოდა – „შეხედე, რა ლამაზი ცა არისო, როგორი მთვარეაო, ვარსკვლავებიო, – ისე მომინდა მეც დამენახა, ისეე... მაგრამ... ეჰ,

– მესმის, ოდესღაც მეც მინდოდა, ძალიან მწყდებოდა გული, შეუძლებლად მეჩვენებოდა მთელი ცხოვრების სიბნელეში გატარება, მაგრამ ამას თავისი საინტერესო მხარე აქვს!

– რა მხარე, დე? ვერ გაეგო პატარას.

– აი, როდესაც პირველ სიზმარს ნახავ, თვითონ მიხვდები. – მიუგო დედამ.

– სიზმარი რა არის, დე? – დაინტერესდა თუნი.

– სიზმარი ძალიან ლამაზი რამ არის, თუნი. ის ძილში გვსტუმრობს და როდესაც ეს მოხდება, დაინახავ იმას, რაც უნდა დაინახო და არა იმას, რასაც ფიქრობ, რომ გინდა.

– ვერ გავიგე, დე.

– შენ ახლა ფიქრობ, რომ გინდა ცა და ვარსკვლავები დაინახო, ხომ ასეა?

– ჰო, ძალიან მინდა! ცა, ვარსკვლავები, თეთრი ღრუბლები, კიდევ ის ყვავილები, ფუტკრები რომ ერთმანეთს აჩვენებენ, ჩიტუნები, ასე ლამაზად რომ გალობენ, კიდევ წვიმის წვეთები, თეთრი თოვლი, უხმაუროდ რომ ეფინება მიწას. ვფიქრობ, ძალიან ლამაზი უნდა იყოს! დე, მე როდის ვნახავ სიზმარს? - ვერ ისვენებდა თუნი.

– არ ვიცი, ოდესმე აუცილებლად ნახავ იმას, რაც უნდა ნახო. ახლა კი ცოტათი ქვევით გავიკვალოთ გზა, რადგან იწვიმებს და აქ დავსველდებით, – უთხრა დედამ.

– დე, საიდან იცი, რომ იწვიმებს?

– მიწა გათბა, თან გრუხუნის ხმაც შემომესმა, ასე წვიმის წინ იცის. აბა, მომყევი, – დედა თხუნელამ სწრაფად გაიკვალა გზა სიღრმისკენ.

– ეჰ, როგორ მინდა, სიზმარი მესტუმროს – ინატრა თუნიმ, – ცა, ვარსკვლავები, მთვარე, ყვავილები, ჩიტუნები... ეჰ, – სევდიანად წარმოთქვა პატარამ.

– ოჰ, ჩემო მეოცნებევ, მოდი ჩემთან, მოდი, დაიძინე, ნახავ, ოდესმე აუცილებლად ნახავ იმას, რაც უნდა ნახო. – დედამ თუნი ჩაიხუტა.

– მალე მინდა, დე. – ჩაიბურტყუნა პატარამ და მალევე ჩაეძინა.

გაწვიმდა. წვიმის წვეთები წკაპა-წკუპით ეცემოდა მიწას. თუნის სიამოვნებდა ეს ხმები და უფრო ღრმა და ტკბილ ძილს მიეცა.

უცებ განათდა! თუნიმ თვალები გაახილა. ისეთი ძლიერი ნათება იყო, რომ თვალი ვერ გაუსწორა შუქს, გარშემო ვერაფერს ხედავდა! არც ყვავილები, არც ცა, არც ვარსკვლავები, არც თეთრი ღრუბლები! ვიღაც მსუბუქად შეეხო.

– ვინ ხარ? – შეკრთა თვალდახუჭული თუნი.

– მე სიზმარი ვარ, თუნი, – უპასუხეს.

– სიზმარი? – გახარებულმა იკითხა.

– კი, სიზმარი. ახლა დაფიქრდი, ყველაზე მეტად რისი ნახვა გსურს და როცა გეტყვი, თვალები გაახილე.

დაიბნა თუნი. ჯერ იფიქრა, – ცა, თეთრი ღრუბლები, ყვავილებიო, მაგრამ შემდეგ სიზმარს ჰკითხა:

– გავახილო?

– შეგიძლია. – მიუგო სიზმარმა.

თუნიმ ფრთხილად გაახილა თვალები, მის წინ გაუნძრევლად იდგა ფაფუკი ბეწვით მოსილი. საოცრად ლამაზი, მასზე ტანადი, მაგრამ მაინც პატარა მოღიმარი არსება. თუნი გაოცებული აკვირდებოდა, მერე ბეწვზე სათუთად შეეხო. მიხვდა – მის წინ, მისი საყვარელი დედა იდგა! ვერაფრით წარმოიდგენდა, რომ ასეთი ლამაზი დედა ჰყავდა. დიდხანს უცქერდა, მერე უთხრა:

– დედა, თუნი ვარ!

– ვიცი, ვგრძნობ, თუნი.

– მე გხედავ, დედა;

– ვგრძნობ, თუნი, ვიცი.

– შენ ვერ მხედავ, დედა?

– შეგრძნება დანახვაზე მეტია, თუნი.

– ლამაზი ხარ, დე.

– ოჰ, არა, გეჩვენება, თუნი, – იუხერხულა დედამ.

– რას ამბობ, დე? ძალიან ლამაზი ხარ! – როგორ არ მინდა სიზმარი დასრულდეს! – თქვა შეწუხებულმა.

– ჰო, არც მე, მაგრამ...

თანდათან დაბნელება იწყო, სიზმარი მიდიოდა.

– გთხოვ, ჯერ არ წახვიდე სიზმარო! – შეევედრა თუნი.

– უნდა წავიდე, თუნი, დროა, კიდევ გესტუმრები.

– როდის?

– როდესაც შენ გახდები დედა, მაშინ მოვალ და შენს პაწიას გაჩვენებ.

– დედაჩემს სიზმარში ისევ ვნახავ?

– ვერა, თუნი. მხოლოდ ერთხელ – დედა... და მხოლოდ ერთხელ – შვილი. ასეა... აბა, შეხვედრამდე.

სიზმარმა თუნი დატოვა. თუნის იმწამსვე გაეღვიძა. დედა უკვე შრომაში იყო გართული.

– დე, სიზმარში გნახე! – ახარა თუნიმ

– მიხარია, თუნი, მიხარია. კიდევ ერთ სიზმარს ნახავ და ეს იქნება. ასეა, სულ ორი სიზმარი გვარგუნა ბედმა... მეორე ჯერ დაიგვიანებს, მაგრამ გული არ დაგწყდეს, რადგან, მერწმუნე, ეს მოლოდინი ღირს ამად!

– დე, ძალიან ლამაზი ხარ! – წამოიძახა თუნიმ

– ოჰ, კარგი ერთი. მოდი, მოდი, დამეხმარე, მგონი, გემრიელ ფესვებს მივაგენი.

– დე, მე რომ სიზმარში მნახე, როგორი ვიყავი? – ჰკითხა.

– დედისთვის ყველა შვილი საყვარელი და ლამაზია, თუნი. მოდი, მართლაც გემრიელი ფესვებია.

– ჰო, მოვდივარ. ცა, მთვარე, ყვავილები... რა სულელი ვარ, არა, დე? – აკისკისდა თუნი.

საბავშვო ლექსები

ცისანა ჩხაიძე-ჯაში



უნდა მიხვიდე

თუ ეტყვი: - მოვალ, – უნდა
მიხვიდე,
უნდა მიხვიდე, სადაც გელიან,
თუ ვერ ახერხებ, უთხარ, ტყუილზე
უარესი ხომ არაფერია.

მადლ, ისე ვით მზის შუქი ციდან,
ღირსებით სავსეს თუკი გეწვია,
წრფელი გული და სინდისი წმინდა
ყველაზე უფრო უკეთესია.

ბელურა

რა ცუდი დარია, ჩემო ჩიტუნია,
ძალიან შეგცივდა, ვატყობ,
დღეიდან იცოდე
ზრუნვას არ მოგაკლებ,
არასდროს დაგტოვებ მარტო.
აქ მოდი, პატარავ,
ჩემთან შემოფრინდი,
ფისომ არაფერი გავნოს,
ფანჯრებსაც გაგიღებ,
საკენკსაც დაგიყრი,
ოღონდ არ დამიფრთხე, კარგო.

ზეიმზე

ზეიმი აქვთ პატარებს
დღეს საბავშვო ბაღში,
შემოდიან სცენაზე
გრიალით და ტაშით.
ლელა არის ენძელა,
ქეთო არის ია,
ნინო – ჭრელი პეპელა,
ცეკვავენ და ხტიან.
მზია ისე ცეკვავდა,
გრძელი კაბით – მარდად,
ის ბაღის ბავშვს კი არა,
ნარდ მსახიობს ჰგავდა.

კურდღელი

შეიპარა ბოსტანში
ეს კურდღელი ნაცარა,
ყველაფერი გადახრა,
ყველაფერი გაცალა.
სტაფილო და კომბოსტო
ძლიერ უყვარს ნაცარას,
ლალის დარგულ ჩითილებს
გაზრდა აღარ აცალა.

თხუნელა

თუმც ლალაზი ბეწვი გაქვს,
მიწის ქვევით დადიხარ,
მუდამ დაეხეტები
იქითაც და აქითაც.
ნუთუ მართლა ვერ ხედავ?
იქნებ კიდეც თვალთმაქცობ,
მწვანილი სულ ათხარე,
ბრმა ყოფილხარ მართლაცო.

თამარ ყურაშვილი
მასწავლებელი

ძვირფასო კოლეგებო, გახუნებული ფურცლებიდან გილოცავთ თქვენს გაუხუნებელ პროფესიულ დღესასწაულს!

მე ფორიაქა მარტმა კაბა დამიჩითა
ცაზე ცისფერი,
შფოთი და ბორგვა დამანათლა,
განუკურნელი,
ვგრძნობ, უამრავი თვალი დანთქმას
მიპირებს,
როცა ნაუბრით ნაფიქრს ვეხები...
უნაპიროა ჩემი ლტოლვა
სივრცეებისკენ,
უნაპიროა ჩემკენ სწრაფვა ფერად
ოცნების,
როცა პატარა სასწაულებს პეშვით
ვარიგებ,
მეც სასწაულად გადავიქცევი...
და მეშინია სიყვარულმა არ
ამადიდოს და
მეშინია სიყვარულმა არ
მომინელოს,
რადგან ეს მე ვარ, ძლეული და
ყოვლისმძლეველი,
ყველა ტკივილოს განმცდელი და
ჯერ ვერგანმცდელი,
ყველაზე დიდი საოცრება,
მ ა ს წ ა ვ ლ ე ბ ე ლ ი!

რედაქტორი: თემურ მარშანიშვილი
tem52@mail.ru ტელ: 599 373515

2020 წლის 31 ოქტომბრის არჩევნები

ცესკო
საქართველოს საარჩევნო ადმინისტრაცია

ამომრჩეველთა საყურადღებოდ!

პანდემიის პირობებში კენჭისყრის პროცესი უსაფრთხოა. კენჭისყრის შენობაში გათვალისწინებულია ინფექციის გავრცელების ყველა პრევენციული ღონისძიება

კენჭისყრა იმართება 08:00 საათიდან 20:00 საათამდე

გაიარეთ მარკირების შემოწმების პროცედურა.

კენჭისყრის ოთახში შესვლამდე დაიმუშავეთ ხელები შესასვლელში განთავსებული ხელის სადეზინფექციო სითხით.

ნაკადის მომწესრიგებელ კომისიის წევრს წარუდგინეთ პირადობის მოწმობა ან საქართველოს მოქალაქის პასპორტი და დროებით მოიხსენით პირბადე იდენტიფიცირების მიზნებისთვის.



მარკირების შემოწმების პროცედურის გავლის შემდეგ რეგისტრატორს წარუდგინეთ პირადობის მოწმობა ან საქართველოს მოქალაქის პასპორტი და დროებით მოიხსენით პირბადე.

გაიკეთეთ მარკირება.



ამომრჩეველთა სიაში თქვენი გვარის გასწვრივ გააკეთეთ ხელმოწერა რეგისტრატორის მაგიდაზე განთავსებული ინდივიდუალური მოხმარებისთვის განკუთვნილი კალმისტრით. ამავე კალმისტრით ისარგებლეთ ფარული კენჭისყრის კაბინაში საარჩევნო ბიულეტენის/ბიულეტენების შევსებისას.

მიიღეთ რეგისტრატორისგან ბეჭდითა და ხელმოწერით დამოწმებული საარჩევნო ბიულეტენი/ბიულეტენები.

ფარული კენჭისყრის კაბინაში საარჩევნო ბიულეტენში/ბიულეტენებში შემოხაზეთ თქვენთვის სასურველი ერთი საარჩევნო სუბიექტის რიგითი ნომერი

კენჭისყრის კაბინიდან გამოსვლის შემდეგ აიღეთ სპეციალური კონვერტი და დაკეცილი საარჩევნო ბიულეტენი/ბიულეტენები მოათავსეთ მასში.

სპეციალური კონვერტი მოათავსეთ საარჩევნო ყუთში.

ხმის მიცემის პროცესში გამოყენებული ინდივიდუალური მოხმარებისთვის განკუთვნილი კალმისტარი დატოვეთ სპეციალურ კონტეინერში. კენჭისყრაში მონაწილეობის შემდეგ დატოვეთ კენჭისყრის შენობა.

კენჭისყრის შენობის დატოვებისას ისარგებლეთ გასასვლელში უზრუნველყოფილი ხელის სადეზინფექციო სითხით.

მნიშვნელოვანია იცოდეთ!

მცირედმხედველი პირებისთვის საარჩევნო უბნებზე განთავსებულია გამადიდებელი ლინზა

ყრუ, სმენადაქვეითებული, მხარდაჭერის მიმღები პირებისთვის კენჭისყრაში მონაწილეობის ამსახველი პოსტერი

უსინათლო პირებისთვის საარჩევნო ბიულეტენის შესავსები ჩარჩო/ფორმა

ეტლით მოსარგებლე პირებისთვის ადაპტირებულ/მისაწვდომ საარჩევნო უბნებზე ხმის მიცემის კაბინა

ყრუ და სმენადაქვეითებული პირებისთვის ცესკოს ვებგვერდზე რეგისტრაციის შემდეგ, მოქმედებს ვიდეო ზარის სერვისი

ღირებულება ფფფ.ფ.ფ.

ფასიანი პოლიტიკური რეკლამა

ოზურგეთის, ლანჩხუთისა და ჩოხატაურის მაჟორიტარულ ოლქში პ/გ „საქართველოს პატრიოტთა ალიანსის“ მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატი

შოთა გოგიბერიძე

შოთა გურამის ძე გოგიბერიძე დაიბადა 1966 წლის 16 მარტს. 1982 წელს დაამთავრა დაბა ურეკის საშუალო სკოლა.

1991 წელს დაამთავრა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი სამართალმცოდნეობის სპეციალობით. 1992 წელს იყო ოზურგეთის რაიონული გამგეობის იურიდიული სამსახურის უფრ-ოსი.

1993 წელს საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათ-ის ბრძოლებში მონაწილეობდა.

1995 წელს მუშაობდა გურიის სამხარეო ადმინისტრაციის მაშველთა კორპუსისა და სამართალდამცავი ორგანოების კოორდინაციის სამსახურის უფროსად.

1996 წელს დაინიშნა გურიის საოლქო პროკურორის თანაშემწედ.

1997 წელს საქართველოს პრეზიდენტის განკარგულებით დაინიშნა ოზურგეთის რაიონის გამგებლის პირველ მოადგილედ.

1999-2007 წ.წ. – გურიის სამხარეო ადმინისტრაციის საორგანიზაციო სამსახურის უფროსი.

2009-2014 წ.წ.–პ/გ „ეროვნული ფორუმის“რაიონული ორგანიზაციის თავმჯდომარე.

2016 წლის სექტემბრიდან –პ/გ „საქართველოს პატრიოტთა ალიანსის“ ოზურგეთის რაიონული ორგანიზაციის თავმჯდომარე.

ჩვენ უნდა შევინარჩუნოთ ჩვენი ეროვნული თვითმყოფადობა, ჩვენი რწმენა, ჩვენი ტრადიცია, ჩვენი ადათ-წესები. ჩვენ უნდა დავრჩეთ ქართველებად და უნდა ვიყოთ მტკიცენი ჩვენი ცხოვრების წესის დაცვაში.

ეროვნული იდეოლოგია

15-20 წელია, რაც ქვეყანაში ადამიანების ახალი ფენა ჩამოყალიბდა. ეს არიან ადამიანები, რომლებიც ებრძვიან ყველას და ყველაფერს, თავად არაფერი იციან. არც სხვის ცოდნას უწევენ ანგარიშს, არც არავის ავტორიტეტს არ ცნობენ.

მეტიც, საკუთარი უცოდინარობის საფუძველზე, ამ ადამიანებმა ახალი იდეოლოგია ჩამოაყალიბეს. ამ იდეოლოგიას, ჩვენ „ოთხი არა“ ვუწოდეთ: არა-რწმენას! არა-სამშობლოს! არა-ეროვნებას! და არა სქესს!

სწორედ ამ იდეოლოგიით სულდგმულობდა საკაშვილის რეჟიმი.

მან, ქართული აზროვნებითა და ეროვნული სულისკვეთებით გამსჭვალული ადამიანები გაყარა სკოლიდან, გაყარა უნივერსიტეტებიდან, გაყარა სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტებიდან და რაც მთავარია, გაყარა სახელმწიფო სამსახურებიდან.

საკაშვილის რეჟიმმა დააზიანა ჩვენი საზოგადოება. გახლიჩა იგი, ბზარი გააჩინა ეროვნულ ცნობიერებაში.

საკაშვილმა ასპარეზი გაუხსნა ადამიანებს, რომლებიც ცდილობენ გადააფასონ ქართველი გმირების ღვაწლი. ცდილობენ დააკნინონ ქართველი ხალხის ისტორიული გამარჯვებები! ეჭქვეშ აყენებენ ჩვენს ეროვნულ ღირებულებებს!

ჩვენ გვინდა, რომ ჩვენს შვილებში სულდგმულობდნენ; დავით და კონსტანტინე არაგველები, ცოტნე დადიანი, გიორგი საკაძე, ილია ჭავჭავაძე, ექვთიმე თაყაიშვილი, მერაბ კოსტავა...ჩვენ გვინდა, რომ ჩვენს შვილიშვილებში ქართველი გმირები სულდგმულობდნენ!

„იგი მუდამ მზადაა სხვების დასახმარებლად“

ვასილ ჩოგოგიძე კეთილშობილი ადამიანია, ქველმოქმედი და კარგი ქართველი. ძალიან უყვარს ქვეყანა, ჩვენი რეგიონი. ყოველთვის, დეპუტატობის პერიოდში თუ სხვა დროს ადამიანებს ედგა გვერდით. მე როგორც ექიმმა შემიძლია გავიხსენო როგორ ეხმარებოდა პაციენტებს.

იმ რთულ წლებში შპს „ჩოხატაურის საავადმყოფო“ დირექტორად ვმუშაობდი. მაშინ, როცა რეფერალური სამსახურები არ მუშაობდა, არ გვქონდა აღჭურვილობა და ძალიან გვიჭირდა მუშაობა, მოხდა მძიმე ავტო ავარია. ავარიისას დაშავდა დედა-შვილი, პატარა გოგონა ალბად, 5-6 წლის. ბავშვი უმძიმეს მდგომარეობაში იყო. მისი გადარჩენის იმედი თითქმის გადაგვწურა, რადგან ადგილზე ვერ ვუწევდით სათანდო დახმარებას, ნეირო-ქირურგიული ჩარევა იყო საჭირო. აუცილებელი გადასაყვანი იყო თბილისში, ამასთან ტრანსპორტირებაც სარისკო იყო. ნებისმიერ შემთხვევაში საჭირო იყო ვერტმფრენი. დავურეკეთ ვასილ ჩოგოგიძეს, იქნება როგორმე დამეხმარო მეთქი. ზუსტად ორ საათში თავდაცვის სამინისტროს სამხედრო ვერტმფრენი ჩამოფრინდა. ბავშვი გადავიყვანეთ თბილისში. შემდეგ მკურნალობის პროცესშიც გვეხმარებოდა, თანხები იყო საჭირო თუ სხვა რამ. ასე მოხერხდა ბავშვის გადარჩენა. იგი დღეს ცოცხალია, ჯანმრთელი.

ასევე გავიხსენებ ახალგაზრდა მამაკაცის შემთხვევას, სოფელ ჩაისუბნიდან, რომელსაც ურთულესი დამწვრობა ჰქონდა მიღებული. ძალიან რთული წარმოსადგენი იყო მისი გადარჩენა. აქედან გადავიყვანეთ ქუთაისში, იქაც გადაიწურა იმედები, მერე თბილისში წაიყვანა, არ დაუკლია არანაირი მცდელობა ოღონდ გადაჩინა. ის მამაკაცი დღეს ცოცხალია.

ეხმარება შშმ პირებს. ზოგს ეტლით სხვებს საჭიროების მიხედვით. ასეთი ბევრი შემთხვევა შემიძლია გავიხსენო და არა მარტო ჩოხატაურში.

ისეთი კაცია რომ იტყვის, გააკეთებს, ტყუილად არავის არაფერს დაპირდება.

ძალიან ცუდი პერიოდი რომ იყო საავადმყოფოს ყველა მანქანა ამორტიზებული იყო, მაშინ შეგვიძინა „უაზის“ ტიპის ავტომანქანა. ბუნებრივი აირი რომ შემოიყვანეს ჩოხატაურში დავიწყეთ ფიქრი როგორ შეგვეყვანა საავადმყოფოს შენობაში. შევაწუხეთ ბიზნესმენი მაშინაც დაგვეხმარა. 2007 წლისთვის ეს ძვირი ფუფუნება იყო, ბათუმისა და ქუთაისის თითო საავადმყოფოში იყო მხოლოდ ცენტრალური გათბობა. ვასილ ჩოგოგიძემ გაგვიკეთა საავადმყოფოში ცენტრალური გათბობა. წლების მანძილზე აფინანსებდა უპოვართა სასადილოს.

ძალიან ღირსეული კანდიდატია. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ ,პატიოსნებას და ასე შემდეგ, ძალიან კარგი ადამიანია, მუდამ მზადაა სხვების დასახმარებლად. ასეთი ადამიანები იშვიათია.

ანტონ ხუნდაძე,
შპს „მედალფას“ ჩოხატაურის
ფილიალის დირექტორი

გაჭირვების წლებში მან 7 საბავშვო ბაღი აღადგინა

მე ვერ ვიქნები რიგითი მხარდამჭერივით წყნარად და მსურს შეგეხმიანოთ გურულებო! ჩემი სიხარული გაგიზიაროთ იმ დღის შემდეგ, რაც გურიის მაჟორიტარ-დეპუტატად წარადგინეს ბატონი ვასილ ჩიგოგიძე, ყველაზე ღირსეული და საიმედო კანდიდატი დღეს გურიისთვის. მხოლოდ რამდენიმე სიკეთეს გავიხსენებ 2004 წლიდან, როცა ჩოხატაურის მწირი ბუუჯეტი ვერ ახერხებდა საბავშვო ბაღების დაფინანსებას, ბატონმა ვასიკომ შვიდ საბავშო ბაღს მისცა შესაძლებლობა სააღმზრდელო პროცესი აღედგინა. უანგაროდ, საკუთარი ხარჯებით, ბავშვთა კვებასა და თანამშრომლებთა ხელფასებს აფინანსებდა. ხიდისთავის, ქვენობნის, ბასილეთის, ბუკნარის, ერკეთის, იანეულის, ბუკისციხის საბავშო ბაღებში ისევ გაისმა მომვალი თაობის იმედიანი ხმა. ამ შვიდი საბავშო ბაღისა და დაბის სამი საბავშვო ბაღის ბაზაზე 2007 წელს ჩამოყალიბდა ა(ა) იპ სსს დაწესებულება "მომავალი" ბატონი ვასილის მხადაჭერითა და დაფინანსებით 2005 წელს გადაიხურა №1 საბავშვო ბაღისა და ქვენობნის საბავშვო ბაღის შენობები,სხვებს ჩაუტარდათ მიმდინარე რემონტი. ბატონი ვასიკოს ხელშეწყობით განათლება მიიღო ბევრმა ჩოხატაურელმა ახალგაზრდამ. მის მიერ გადარჩენილი რამდენიმე ათეული სიცოცხლე კი, ყველაზე დიდი სიკეთეა, სიკეთეთა შორის. მათ რიცხვებში არის თქვენი მონამორჩილი . და გვირგვინი და ყველა მის მიერ გაკეთებული კეთილი საქმისა, ჩოხატურის წმინდა მოწამე ანასა და იოაკინეს სახელობის ტაძარია.

მოგიწოდებთ გურულებო, ოზურგეთელებო, ლანჩხუთელებო, მხარი დაუჭირეთ ღირსეულ კანდიდათ ვასილ ჩიგოგიძეს

ყველა ჩოხატაურელი კოლეგის სახელით,
თქვენი **მანანა გოგიბერიძე,**
ქვენობნის საბავშო ბაღის გამგე

სამგლოვიარო განცხადება

საქართველოს პედაოგოგთა და მეცნიერთა თავისუფალი პროფკავშირის ოზურგეთის რაიონული ორგანიზაცია ღრმა მწუხარებით იუწყება ნატანების საბავშვო ბაღის ღირსეული აღმზრდელის **ლალი გვარჯალაძის** გარდაცვალებას და თანაგრძნობას უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

7 დღის ამინდის პროგნოზი

19 ოქტომბერი, ორშაბათი	20 ოქტომბერი, სამშაბათი	21 ოქტომბერი, ოთხშაბათი	22 ოქტომბერი, ხუთშაბათი	23 ოქტომბერი, პარასკევი	24 ოქტომბერი, შაბათი	25 ოქტომბერი, კვირა
მზე, ღრუბელი +14+22	წვიმა +12+18	მზე, ღრუბელი +9+16	მზე, ღრუბელი +9+18	მზე, +13+21	მზე, +14+21	მზე, +14+21